- სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო თემატიკას, ჩვეულებრივ, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი წარუდგენს მაგისტრანტებს. პროგრამა მაგისტრანტებს სთავაზობს მთელ სპექტრს იმ საკვლევი თემატიკისა, რომელშიც კონკრეტული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თუ კათედრის პროფესორები მუშაობენ და აქვთ გამოკვლევები. მაგისტრანტს, სასპეციალიზაციო დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქვს თავისუფალი არჩევნის გაკეთების საშუალება საკუთარი ინტერესების შესაბამისად. საკვლევი არეალის სიფართოვე და თემატიკის მრავალფეროვნება ყოველთვის გამოარჩევდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომებს.
- ძირითადი მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის მიმართ – სამაგისტro ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტი კარგად იცნობს და ფლობს საკვლევ ფაქტობრივ მასალას, საკითხზე არსებულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, შეუძლია დამოუკიდებელი კვლევა და ამ კვლევის შედეგების ნათლად ჩამოყალიბება, სწორად აქვს შერჩეული კვლევის მეთოდი და ითვალისწინებს საკითხზე უკვე არსებულ კვლევით გამოცდილებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ასევე სამაგისტრო ნაშრომმა უნდა აჩვენოს, რომ მაგისტრანტს შეუძლია ნაშრომის სათანადოდ გაფორმება და სტილისტურად გამართვა, მისთვის სამეცნიერო აპარატისა და ბიბლიოგრაფიის დართვა და საჯარო დაცვაზე მისი პრეზენტაცია, სამეცნიერო პოლემიკასა და დისკუსიაში საკუთარი მიგნებებისა და კვლევითი სიახლის არგუმენტირებული დაცვა. ამ ყველაფერზე დეტალური ინფორმაციის მიღებაში მაგისტრანტს დაეხმარება **<u>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი,</u>** რომელიც ფაკულტეტის საიტზე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებთანაა განთავსებული.